საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1933
21/03/2023

1933-21-2-202303211341

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №1202 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. შავღელეში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მდ. რიონის ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- საპროექტო ნაგებობა არ შეესაბამება პროექტის ჰიდროლოგიურ ნაწილში მოცემულ კალაპოტის წარეცხვის სიღრმის მნიშვნელობას (წარმოდგენილი ქვანაყარი ბერმა ვერ უზრუნველყოფს ნაპირის მდგრადობის შენარჩუნებას, რადაგნ მისი მოცულობა არ არის გათვლილი წარეცხვის სიღრმის სიდიდეზე);
- მოქმედ ნორმებთან არის მოსაყვანი ქვანაყარი ბერმის ფრაქციული შემადგენლობის პროცენტული განაწილება;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი GPS კოორდინატები კვლავ არ ემთხვევა თანდართულ shp ფაილებს, რაც საჭიროებს დაზუსტებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო